# ხობის მოამბე



№22 (7081) 30 ნოემბერი, ოთხშაბათი, 2016 წელი.
ფასი 1 ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის გაზეთი


## პარლამენტის თავმჯდომარედ ირაკლი კობახიძე აირჩიეს



საქართველოს მე-9 მოწვევის პარლამენტის თავმჯდომარედ ირაკლი კობახიძე აირჩიეს. პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობაზე „ქართული ოცნების" მიერ წარდგენილ კანდიდატურას მხარი 118 დეპუტატმა დაუჭირა, სამი კი წინააღმდეგ წავიდა.

ირაკლი კობახიძე 1978 წლის 25 სექტემბერს დაიბადა. 1995-2000 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 2002-2006 წლებში კი გერმანიაში, დიუსელდორფის უნივერსიტეტში, სადაც მიიღო სამართლის მაგისტრის, მოგვიანებით კი დოქტორის ხარისხი. 2014 წლიდან დღემდე არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი. 2015 წლიდან „ქართული ოცნების" აღმასრულებელი მდივანი და პოლიტიკური საბჭოს წევრია.

მე-9 მოწვევის პარლამენტმა კომიტეტების თავმჯდომარეებიც აირჩია. აგრარულ საკითხთა კომიტეტს **ოთარ დანელია** უხელმძღვანელებს, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ისევ **ირაკლი სესიაშვილი** იქნება.

განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე–**მარიამ ჯაშიგახდა**; გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე–**კახა კუჭავა**; დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე–**რომან კაკულია**; დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე–**ზვიად კვაჭანტირაძე**; ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე-**თამარ ხულორდავა;** იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე–**ეკა ბესელია**; რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარე–**გიორგი ლილუაშვილი;** საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე–**სოფო ქაცარავა**; საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარე–**გიორგი კახიანი;** საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე–**ირაკლი კოვზანაძე**; ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე–**აკაკი ზოიძე;** ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე–**სოფო კილაძე**; სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე–**მიხეილ ყაველაშვილი.**

## საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2016 წლის 26 ნოემბერი ქ. თბილისი

**გ. კვირიკაშვილის საქართველოს პრემიერ- მინისტრად დანიშვნის შესახებ**

**საქართველოს კონსტიტუციის მე- 80 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პრემიერ- მინისტრად დაინიშნოს გიორგი კვირიკაშვილი.**

***გიორგი მარგველაშვილი***



***საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ახალი მინისტრთა კაბინეტის წევრების დანიშვნის ბრძანებას ხელი მოაწერა.***

განახლებული სამთავრობო გუნდი, გიორგი კვირიკაშვილის მეთაურობით, რომელსაც პარლამენტმა, ნდობა 26 ნოემბერს, რიგგარეშე სესიაზე გამოუცხადა, თანამდებობრივი უფლებამოსილების შესრულებას ოფიციალურად შეუდგა.

## ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

22 ნოემბერს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე **ედიშერ ჯობავა**.

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოსა და გამგეობის ხელმძღვანელი პირები. სხდომაზე განხილულიქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები, მათ შორის: განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2016 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 იანვრის N16 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ", რომლის მიხედვითაც ეკონომიურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2016 წლის მუნიციპალური პროგრამის მუხლი „საოპერაციო თანხების ნაწილობრივი დაფინანსება" გაიზარდა 65 000 ლარით და განისაზღვრა 115000 ლარით, რაც გამგეობის განმარტებით განპირობებულია, ეკონომიკურად შეჭირვებული მოქალაქეების მხრიდან საოპერაციო, ქიმიოთერაპიისა და სხივური თერაპიის ხარჯების დაფინანსების მოთხოვნით. აღნიშნულ პროგრამაში ასევე გაიზარდა მუხლი „C" ჰეპატიტით დაავადებულთათვის საჭირო გამოკვლევების დაფინანსება" და განისაზღვრა 39050 ლარით.

შემოსული განცხადებებიდან გამომდინარე, სიღატაკის ზღვარს მიღმა მყოფ ოჯახებზე წყლის ხარჯის ანაზღაურების მუხლში გამოყოფილი თანხაც ასევე არასაკმარისი აღმოჩნდა. გამგეობის განმარტებით აღნიშნული მუხლი განისაზღვრება 8800 ლარით.

სხდომაზე ასევე განხილულიქნა დადგენილების პროექტი: „ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე", რომლის თანახმადაც ადგილობრივ ბიუჯეტში ხორციელდება შემდეგი სახის ცვლილება: იზრდება ბიუჯეტის შემოსავლები მუხლიდან „საშემოსავლო გადასახადი" 530.0 ათასი ლარით და მუხლიდან „პროცენტები" 100.0 ათასი ლარით. მცირდება ბიუჯეტში გადასახდელები 195.0 ათასი ლარით, კერძოდ, პრიორიტეტის „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია" ასიგნებები. გამონთავისუფლებული და შემოსავლების ზრდით მიღებული, სულ 825.0 ათასი ლარი, მიიმართება შემდეგ ღონისძიებათა დასაფინანსებლად: 788.0 ათასი ლარი - პრიორიტეტის „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია" ასიგნებებზე. ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა, ანუ შემოსულობების გეგმა გაიზარდა 630,0 ათასი ლარით და შეადგინა 13521,7 ათასი ლარი. სხდომაზე ცნობად იქნა მიღებული საკრებულოს ყოფილი ფრაქცია „ქართული ოცნება-რესპუბლიკელების" სახელწოდების ცვლილების თაობაზე განკარგულება, რომლის თანახმადაც, ფრაქცია დარეგისტრირდა ახალი სახელწოდებით „თავისუფალი მოქალაქეები". სხდომაზე გამგეობის მიერ ასევე წარმოდგენილიქნა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების 2017 წლის სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ", რომელიც ითვალისწინებს ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების 2017 წლის სასწავლო გეგმის დამტკიცებას, რომლის საფუძველზეც 2017 წლისთვის დაგეგმილია 58 მოხელის კვალიფიკაციის ამაღლება. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

# ოფიციალური გვერდი

## ჩვენს უკან ჩვენი სამშობლოა, ჩვენი მოსახლეობაა

### პრემიერ-მინისტრის დასკვნითი სიტყვა პარლამენტის სხდომაზე



ყველას დიდ მადლობას გიხდით ამ ძალიან შრომატევადი, ენერგოტევადი რამდენიმე დღისთვის. მინდა, ორიოდე სიტყვა ვთქვა საკუთარ თავზე, რომ სხვამ არ თქვას და შემდეგ დითირამბებში არ ჩაითვალოს. არ მიყვარს პერსონალური სადღეგრძელოები, გავდივარ ხოლმე სუფრიდან, როცა ასეთი რამ ხდება. არასოდეს, თათბირის დროს არ ვჯდები მაგიდის თავში, ყოველთვის შუაში ვზივარ და არასოდეს, არც ერთი ორგანიზაცია, სადაც მიმუშავია, არ მიმართავს შიდა დაპირისპირებისა და ინტრიგების მეშვეობით. ეს ყველაფერი ერთად, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ ჩვენ სრულიად ახალი სტილით ვუპასუხოთ იმ გამოწვევებს, რომელიც დღეს გვაქვს და ამიტომ ვახსენებ ამას. რატომ ვახსენებ ამას ზუსტად დღეს და რატომ გესაუბრებით თქვენ, ჩვენს ოპონენტებს, ამასაც ძალიან კონკრეტული მიზანი აქვს. იმას, რომ თქვენ გუშინ გამოიყენეთ სიტყვები - პოლიტიკური უტიფრობა, თუ სხვა, მე მინდა, ერთი ძალიან მარტივი სიტყვა ვუწოდო, ეს არის - ქედმაღლობა. ამიტომ არ აგირჩიათ თქვენ ქართველმა ხალხმა, საქართველოს მოსახლეობამ. ეს არის ყველაზე მთავარი მიზეზი, რის გამოც „ნაციონალური მოძრაობა" დღეს არის უმცირესობაში. ამას სჭირდება გაანალიზება და გაცნობიერება. სწორედ ამას დაუჭირა ქართველმა ხალხმა მხარი, რომ „ქართული ოცნება" არის პოლიტიკური ძალა, რომელსაც შესწევს უნარი, ისაუბროს საკუთარ შეცდომებზე და მე დღეს ამის მაგალითი მოგეცით, „ქართული ოცნება" არის პოლიტიკური ძალა, რომელსაც შესწევს უნარი ისაუბროს ოპონენტების წარმატებაზე - ამის მაგალითიც მოგეცით მე თქვენ.

ვერც ერთი საპასუხო მაგალითი, სამწუხაროდ, მე ვერ მოვისმინე თქვენი მხრიდან. ასე რომ, იმ ახალი რეალობის ძრავი ჩართულია და ამას ვერაფერი გააჩერებს. ამ ახალ რეალობაში, იმ გამოწვევებს, რომელსაც ეს რეალობა გვკარნახობს, პასუხობს ის ძალა, რომელიც დღეს არის ხელისუფლებაში, მოგწონთ ეს თუ არა. ჩვენს ქვეყანას ნამდვილად სჭირდება წარმატებები, გამარჯვებები, ხვალინდელი დღის იმედი. იმედი ამოძრავებს სწორედ ეკონომიკასაც და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ზედმეტად ნეგატიურად არ დავხატოთ ის რეალობა, რომელიც არის, რათა მეტი პოლიტიკური ქულა დავიწეროთ. ამიტომ, მინდა, მივმართო ჩვენი გუნდის წევრებს: დღეს ჩვენ გვეძლევა ისტორიული შანსი, ჩავდგეთ იმ ადამიანების რიგებში, რომლებმაც ქვეყანაში ისტორიულ მომენტში ძალიან მნიშვნელოვანი საქმე გააკეთეს და ჩვენი ქვეყანა, ჩვენი სამშობლო წინ წასწიეს. მოგიწოდებთ ყველას, ყველაფერი პირადული გვერდზე გადავდოთ და განვეწყოთ ძალიან დიდი ბრძოლისთვის. ბრძოლაში, უპირველეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, შრომას ვგულისხმობ ამ შემთხვევაში, ვინაიდან, ყველა ჩვენგანს, ვინც ეს უდიდესი ტვირთი იტვირთა საკუთარ თავზე, სრულად უნდა ესმოდეს და აცნობიერებდეს, რომ უკან მოსაბრუნებელი გზა არ არის. სხვა არჩევანი ჩვენ არ გაგვაჩნია, იმიტომ, რომ ჩვენს უკან ჩვენი სამშობლოა, ჩვენი მოსახლეობაა და ჩვენს უკან ყველა გზა ჩახერგილია.

დიდი მადლობა კიდევ ერთხელ ყველას ერთად და მთელს ჩვენს ქვეყანას!

## ირაკლი კობახიძე—ჩვენ ნდობა გამოვუცხადეთ ღირსეულ გუნდს, ძალიან ღირსეული, ნამდვილად ევროპული ტიპის ლიდერით

ჩვენ ნდობა გამოვუცხადეთ ძალიან ღირსეულ გუნდს, ძალიან ღირსეული, ნამდვილად ევროპული ტიპის ლიდერით,–ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ ჟურნალისტებს პარლამენტის მიერ მთავრობის შემადგენლობისთვის ნდობის გამოცხადების შემდეგ განუცხადა.

ირაკლი კობახიძემ პრემიერ-მინისტრ კვირიკაშვილს და მთავრობის თითოეულ წევრს გამოცხადებული ნდობა მიულოცა.

„ჩვენ ნდობა გამოვუცხადეთ ძალიან ღირსეულ გუნდს ძალიან ღირსეული, ნამდვილად ევროპული ტიპის ლიდერით. ამ გუნდს აქვს ძალიან ამბიციური გეგმა, რომელიც ასახულია სამთავრობო პროგრამაში. ეს პროგრამა ბუნებრივია, დაეფუძნა ჩვენს წინასაარჩევნო პროგრამას. ის მოიცავს სახელმწიფოებრივი განვითარების პრაქტიკულად ყველა მიმართულებას. პროგრამა ერთდროულად არის ამბიციურიც და იმავდროულად რეალისტურიც, შესაბამისად, ეს პროგრამა უზრუნველყოფს ქვეყნის სწრაფ განვითარებას, იმას, რაც ჩვენ არჩევნების წინ დავაანონსეთ",–განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

## მთავრობის ახალი შემადგენლობა

**დიმიტრი ქუმსიშვილი**–საქართველოს პირველი ვიცე-პრემიერი, ფინანსთა მინისტრი.

**გიორგი გახარია**–საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი.

**კახა კალაძე**–საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი.

**მიხეილ ჯანელიძე**–საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი.

**დავით სერგეენკო**–საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი.

**სოზარ სუბარი**–საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი.

**ალექსანდრე ჯეჯელავა**–საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი.

**ლევან დავითაშვილი**–საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი.

**ზურაბ ალავიძე**–საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი.

**მიხეილ გიორგაძე**–საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი.

**ტარიელ ხეჩიკაშვილი**–საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი.

**ლევან იზორია**–საქართველოს თავდაცვის მინისტრი.

**თეა წულუკიანი**–საქართველოს იუსტიციის მინისტრი.

**გიორგი მღებრიშვილი**–საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი.

**კახა კახიშვილი**–საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის მინისტრი.

**გიგლა აგულაშვილი**–საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი.

**ვიქტორ დოლიძე**–საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში.

**ქეთევან ციხელაშვილი**–შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი.

## მიხეილ ჯანელიძე–ჩვენი გეგმა არის ის, რასაც მხარი დაუჭირა მოსახლეობამ ამ გუნდის არჩევით



ჩვენი გეგმა არის ის, რომელსაც მხარი დაუჭირა ჯერ საქართველოს მოსახლეობამ ამ გუნდის არჩევით და დღეს უკვე პარლამენტმა მთავრობისადმი ნდობის გამოცხადებით,–ამის შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრმა მიხეილ ჯანელიძემ ქუთაისში, პარლამენტში განაცხადა, სადაც პარლამენტმა ხმათა უმრავლესობით მთავრობას ნდობა გამოუცხადა.

როგორც მიხეილ ჯანელიძემ აღნიშნა, პარლამენტმა დღეს ნდობა გამოუცხადა იმ სამთავრობო პროგრამას, რომელიც წარმოადგინა უკვე პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა თავის გუნდთან ერთად.

„ ეს გეგმა ეფუძნება ქვეყნის სწრაფი განვითარების ხედვას, სტაბილურობას, რომელსაც ჩვენ უზრუნველვყოფთ ასევე ჩვენი საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების განხორციელებით, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციით, ჩვენი ქვეყნის პოპულარიზაციით მსოფლიო მასშტაბით, ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობით, ეკონომიკური დიპლომატიის გაძლიერებით, ჩვენი კულტურული კავშირების გაღრმავებით, დიასპორასთან უფრო მჭიდრო კავშირების განვითარებით და რა თქმა უნდა, ჩვენი მოქალაქეების უფლებების დაცვით საზღვარგარეთ. ჩვენი გეგმა არის ის, რომელსაც მხარი დაუჭირა ჯერ საქართველოს მოსახლეობამ ამ გუნდის არჩევით და დღეს უკვე პარლამენტმა მთავრობისა და სამთავრობო პროგრამისადმი ნდობის გამოცხადებით",–განაცხადა მიხეილ ჯანელიძემ.

ინტერვიუ



*ნომრის სტუმარია ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ბატონი თენგიზ აბაკელია.*

# „წინ დიდი გზაა გასავლელი“

***ბატონო თენგიზ, გთხოვთ გვიამბოთ თქვენზე?***

–დავიბადე 1955 წელს ხობის რაიონის სოფელ ზემო ქვალონში. დავამთავრე ზემო ქვალონის საშუალო სკოლა, ზუგდიდის პოლიტექნიკური ტექნიკუმი და ქალაქ ბრიანსკის ტექნიკური ინსტიტუტი. 1994 წელს ამირჩიეს ზემო ქვალონის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის თანამდებობაზე. 1998–2000 წლამდე ვეწეოდი სამეწარმეო საქმიანობას

მყავს ოჯახი–მეუღლე, ორი შვილი და სამი შვილიშვილი.

***როდიდან დაინტერესდით პოლიტიკით?***

–ოდნავ შორიდან დავიწყებ: „აგვიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართლის ბედმა...“ 1989 წელს აქტიურად ჩავები ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობაში, მაშინ პირველად ვიგრძენი ხალხის დიდი აღზევება და საქართველოს გაერთიანებისთვის სწრაფვა. ვიყავი „ილია მართლის“ საზოგადოების წევრი. სამხედრო გადატრიალების შემდეგ სოფლის გამგებლის თანამდებობა დავტოვე და დევნილ ხელისუფლებასთან ერთად განვაგრძე ბრძოლა კანონიერი ხელისუფლების აღსადგენად.

სამწუხაროდ, შემდეგ რაც მოხდა, ყველამ კარგად ვიცით... მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო, რომ ბატონი ზვიად გამსახურდია ჩემთვის იყო და არის დიდი ქართველი.

2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში გაერთიანებული ოპოზიციის სახელით მივიღე მონაწილეობა ზემო ქვალონის მაჟორიტარულ ოლქში და გავხდი საკრებულოს წევრი. 2012 წლის დეკემბრიდან ვარ ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, ჩემი საქმიანობა რასაკვირველია, მომწონს და ვცდილობ მაქსიმალურად დავიხარჯო.

***თქვენი, როგორც ფრაქციის ხელმძღვანელის მოვალეობა და ვალდებულებები?***

–ფრაქცია „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელის სტატუსი ჩემთვის დიდი პატივია. ვცდილობ, ჩემი უფლება-მოვალეობები ღირსეულად აღვასრულო. ხელისუფლების გვერდით დგომა ჩემთვის უპირველესია, ჩემს გვერდით არიან პატრიოტული სულისკვეთებით აღსავსე ადამიანები, ისინი, ვისთვისაც ძვირფასია ქვეყნის სიყვარული და ერთგულება, მათ იციან ჩემი შრომისა და საქმისადმი დამოკიდებულება. უმიზნოდ არასდროს მიცხოვრია. დაწყებული ბევრი საქმე ბოლომდე მიმიყვანია. ვზრუნავ ჩემი სოფლისთვის, შეძლებისდაგვარად მხარში ვუდგავარ მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელ ლევან კილასონიას.

***თანამედროვე ცხოვრებაში ხალხს ყველაზე მეტად რა სჭირდება?***

–თანამედროვე ცხოვრებაში ხალხს სჭირდება საყოფაცხოვრებო და ეკონომიკური კეთილდღეობის გაუმჯობესება. ჩემი სოფლის მაგალითზე უნდა გითხრათ, რომ თანასოფლელებს აუხდათ საუკუნის ოცნება, შემოყვანილიქნა სასმელი წყალი, მოხდა ელექტროგამრიცხველიანება, გზების კეთილმოწყობა, ხიდ-ბოგირებისა და სანიაღვრე არხების მოწყობა და ბევრი სხვა. იწყება თხილის ფართობების განაშენიანება, იგეგმება ელევსის აშენება.

პრობლემების მოგვარებაში დიდია სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორისა და ადგილობრივი ხელისუფლების როლი. სოფლის მოსახლეობის სახელით დიდი მადლობა მათ.

***ბატონო თენგიზ, რას იტყვით, როგორი უნდა იყოს იდეალური პოლიტიკოსი?***

–იდეალური პოლიტიკოსი არ არსებობს, მაგრამ მიმაჩნია, რომ პოლიტიკოსი პირველ რიგში უნდა ემსახურებოდეს თავის ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობას.

***ადამიანი, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა თქვენზე?***

–ჩემი იდეალები იყვნენ და არიან მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია!

***პირველი პრინციპი, რითაც ირჩევთ სამეგობრო წრეს?***

–მეგობართა ფართო წრე მყავს, არჩევანისას ჩემთვის მთავარი პრინციპი სიტყვისა და საქმის ერთგულებაა, მჯერა პრინციპული ადამიანების გვერდში დგომის.

***ყველაზე მთავარი რა არის თქვენთვის?***

–ჩემთვის უპირველესი, ჩემი ოჯახისა და ხალხის უკეთესი მერმისია. რომ ჩვენს გვერდით იყვნენ საინტერესო და მისაბაძი ადამიანები, ვისთვისაც ერის, ქვეყნის სიძლიერეა მთავარი პრიორიტეტი.

***ყველაზე კარგი რჩევა, რაც მიგიღიათ და ვისგან?***

–ცნობილი მამაჩემი იტყოდა, სხვის უბედურებაზე საკუთარი ბედნიერების აგება, უსინდისობაა. მეც დღემდე ამ პრინციპით ვაგრძელებ ცხოვრებას.

***თქვენი როლი 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში?***

–რაც შეეხება თქვენს კითხვას, როგორი იყო ჩემი როლი საპარლამენტო არჩევნებში, მინდა თქვენი გაზეთის საშუალებით ყველას მივულოცო „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს“ ღირსეული გამარჯვება. ასევე საქართველოს პარლამენტის წევრის, ხობის მაჟორიტარი დეპუტატის ირაკლი (დაჩი) ბერაიას წარმატება. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, რომ ჩემს სოფელს ყოველთვის თავისი სიტყვა უთქვამს არჩევნებში და ასეა ახლაც, რადგან აქ ცხოვრობენ ღირსეული, პატრიოტი ადამიანები. მადლობა მათ ნდობისთვის, თანადგომისთვის, მხარდაჭერისთვის.

***თქვენს პოლიტიკურ საქმიანობაში ყველაზე მეტად რა დაგამახსოვრდათ?***

–განსაკუთრებით დამამახსოვრდა 1991 წლის 9 აპრილი, როცა საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ საქართველოს დამოუკიდებლობის დღე გამოაცხადა.

***ფრაზა, რომელიც ხშირად ისმის თქვენს ირგვლივ?***

–რა გვეშველება! რა გვეშველება! კიდევ ერთხელ ვამბობ, ყველაფერი კარგად იქნება, ყველაფერი თავისუფლებიდან იწყება, რადგან მხოლოდ თავისუფალი ხალხი აშენებს ძლიერ, დემოკრატიულ ქვეყანას და შექმნის კეთილდღეობას.

წინ დიდი გზაა გასავლელი. მთავარია, ღმერთმა ხანგრძლივი დრო მოგვცეს სიცოცხლისთვის.

# მზრუნველი, მოამაგე...



მასწავლებელი საზოგადოებაში გამორჩეულია, რომელიც ზრუნავს ახალი თაობის აღზრდაზე, ადამიანი–ყველაზე თბილი, სანდო, განათლებული, ის ყველასგან გამოირჩევა. ასეთ ხატებად მიაჩნიათ მასწავლებელი მოსწავლეებს, მაგრამ ის განსაკუთრებულ პიროვნებად პირველკლასელებს, დაწყებითი კლასის მოსწავლეებს ესახებათ.

„ჩემი პირველი მასწავლებელი“, მრავალ თაობას უთქვამს ეს სიტყვები, ფიქრში ამოტივტივებულა ეს ფრაზა და გახსენებიათ თავიანთი პირველი მასწავლებელი. ასე ბევრს უფიქრია ქალბატონ თამარ ხუხიაზე, ვინ მოსთვლის, რამდენ თაობას გაუვლია მის ხელში, რამდენი ბავშვის ხატება და საოცნებო ადამიანი გამხდარა წლების მანძილზე, მჯერა, რომ ის მუდამ თბილი, სათნო და კეთილი იყო, როგორც დღეს, თითოეული ბავშვის მიმართ.

პედაგოგად დაბადებულ ადამიანს ყველას აქვს ასეთი განწყობა და მიდგომა პატარების მიმართ. ისინი ხომ გულის სითბოს ჩუქნიან პატარებს და სწავლების სიტკბოებას აზიარებენ.

და თქვენ ქალბატონო თამარ! რამდენ ვინმეს აჩუქეთ ასეთი სითბო, სიყვარული, ასწავლეთ და აზიარეთ დედაენას, მეგობრობის, დედაშვილობის, სამშობლოსა და ადამიანების სიყვარულს, ურთიერთპატივისცემასა და ადამიანებისადმი უდიდეს გრძნობებს. დღესაც, მიუხედავად წელთა სიმრავლისა, ისევ ისე სიყვარულით, რუდუდნებით, მოკრძალებით, ხალისით, ენთუზიაზმით განაგრძობთ პატარებთან მოღვაწეობას და გახარებთ მათთან ურთიერთობა, მათდამი დედაშვილური გრძნობების გამოხატვა სიტკბოთი გავსებთ, თქვენი დღეების დღეები, ნეტავ გაბედნიერებთ და მას სიხარულს, როგორც გულიდან გამოყვირება, შვილიშვილებს...

ბედნიერი ქალი ბრძანდებით, მინდა გისურვოთ ეს ბედნიერება თქვენთვის არასოდეს გამქრალიყოს, მართალია გული გტკივათ კარგი მეუღლის, უღალატო მეგობრის ბატონ დურუ კობახიძის ამ ქვეყნიდან წასვლის გამო, მაგრამ თქვენს ზურგს გიმაგრებთ და გულს მალამოდ ეფინება თქვენი შვილების, შვილიშვილების სითბო და სიყვარული.

დიდი ხანია მასწავლებელზე ნარკვევის დაწერა მსურდა, ვერ მოვახერხე. ქალბატონ თამარიზე, მის ოჯახზე, შვილებზე, შვილიშვილებზე ყოველთვის კარგი მსმენია. ჩემმა მეგობარ გიგლა კეკეჯიის შვეებმა ანე და მან მირჩია დამეწერა ქალბატონ თამარიზე, მიქო და მიდიდა მისი შვილები... ასე, რომ შეხვედრა შედგა...

თამარ ხუხია–პედაგოგი სიმპათიური ქალბატონი, თავაზიანი. შეხვედრისას ისე ღიმილიანი მომეგება, გული გამითბო, როცა ვუთხარი თქვენზე ნარკვევს გავაკეთებ მეთქი, მორიდებით, მოკრძალებით მითხრა, რატომ შეწუხდითო. მესიამოვნა მისი ნახვა. შვილებს არა, მაგრამ მის მეუღლეს ბატონ დურუ კობახიძეს, ცნობილ ფიზიკოსს ვიცნობდი, მახსოვს როგორ იწვევდნენ ხოლმე სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში საგამოცდო კომისიებზე, მან 55 წელი იღვაწა ამ სკოლაში, სამწუხაროა, რომ ასეთი კარგი და ნიჭიერი პიროვნება 10 წლის წინათ გამოაკლდა ხობელ პედაგოგთა კოჰორტას. მათ გვერდით მასავით უნიჭიერესი პედაგოგები კარლო ბუკია, კოტე ფილიპია, ვარლამ პაჭკორია და სხვა გამორჩეული ადამიანები მოღვაწეობდნენ.

ახლა ქალბატონი თამარი ცალულელა განაგრძობს ამ მისიას, მაგრამ ღირსეულად. საამაყოა მისი ოჯახი წარსულითა თუ აწმყოთი.

ქალბატონი თამარი პირველმაისელია. დაამთავრა პირველი მაისის საშუალო სკოლა, სოხუმის გორკის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის დაწყებითი განათლების პედაგოგიკა-მეთოდიკის ფაკულტეტი, შემდეგ მუშაობას იწყებს პირველი მაისის საშუალო სკოლაში დაწყებითი კლასის მასწავლებლად. განგებამ აქ შეახვედრა ერთმანეთს ის და თავისი მეუღლე დურუ კობახიძე და მთელი 57 წელი ერთად იღვაწეს ოჯახზე, შვილებზე, ახალგაზრდა თაობის აღზრდაზე.

მათ ორი ვაჟიშვილი ფრიდონი და თენგიზი აღზარდეს. ისინი მშობლებივით ნიჭიერი, მოსიყვარულენი და პატივდებული პიროვნებები არიან. მათ ტექნიკური უნივერსიტეტი დაამთავრეს და მისი დამთავრებისთანავე იმავე ინსტიტუტში მოღვაწეობენ, აქვთ სანიმუშო ოჯახები. თამარ მასწავლებელს სამი შვილიშვილი ჰყავს–გიორგი, ილია და ანა, სამივე უმაღლესი განათლებითაა. ოჯახის ტრადიციას ისინიც ღირსეულად აგრძელებენ...

47 წელია თამარ ხუხია პირველი მაისის სკოლაში ასწავლის. ახალგაზრდა პედაგოგების გვერდით იღწვის და იზიარებს განათლების სისტემაში დანერგილ ახალ რეფორმებს. ბევრი მათგანი მოსწონს, მიესალმება ტექნიკის სიახლეებს, თუმცა სწუხს, რომ თანამედროვე ბავშვები კომპიუტერზე უფრო არიან დამოკიდებულნი, ვიდრე წიგნზე, მოუწოდებს მათ, უფრო შეიყვარონ წიგნი, იმეგობრონ მასთან.

ქალბატონო თამარ, ახალგაზრდების დამრიგებლად, მათთან ცოდნის გამზიარებლად, მათ უფროს მეგობრად კიდევ ათეული წელი ყოფილიყავით. იყავით მუდამ ასეთი თბილი, მზრუნველი და მოამაგე–„მასწავლებელო, შენ ისე კარგი, ისე ლამაზი სახელი გქვია.“

**გვერდი მოამზადა ნანი კილასონიამ**

# ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი პ რ ო ე ქ ტ ი

## განმარტებითი ბარათი

ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტით შემოსავლები განისაზღვრა 6633,8 ათასი ლარით აქედან: გადასახადები 6000,0 ათასი ლარი, გრანტები 220.0 ათასი ლარი (აქედან: 220,0 ათასი ლარი - მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად), სხვა შემოსავლები 413.8 ათასი ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტით ხარჯები განისაზღვრა 6502.9 ათასი ლარით. აქედან: შრომის ანაზღაურება 1832.8 ათასი ლარი, საქონელი და მომსახურება 1007.6 ათასი ლარი, პროცენტი 54.3 ათასი ლარი, სუბსიდიები 2808.3 ათასი ლარი, გრანტები 336,0 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფა 446.8 ათასი ლარი სხვა ხარჯები 17,1 ათასი ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის საოპერაციო სალდო განისაზღვრა 130,9 ათასი ლარით, არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვრა–81,0 ათასი ლარით. აქედან: ზრდა–155,3 ათასი ლარით, კლება–236,3 ათასი ლარია.

ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა 211,9 ათასი ლარით.

ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შემოსულობები განისაზღვრა 6870,1 ათასი ლარით, აქედან: შემოსავლები–6633,8 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების კლება–236,3 ათასი ლარით.

ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვრა 6870,1 ათასი ლარით, აქედან: ხარჯები–6502,9 ათასი ლარით, არაფინანსური აქტივების ზრდა–155,3 ათასი ლარით, ვალდებულებების კლება–211,9 ათასი ლარით.

**დ. ჭოჭუა.**
**საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი**

## ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №

*2017 წლის ნოემბერი*

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 78-ე მუხლის შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი თანდართული სახით.
2. დადგენილება ძალაშია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გამოქვეყნებისთანავე.
3. ეს დადგენილება ამოქმედდეს 2017 წლის 1 იანვრიდან.

**ედიშერ ჯობავა,**
**ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.**

### ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

### თავი I

**მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2015 წლის ფაქტი | 2016 წლის გეგმა სულ | 2016 მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | 2016 მათ შორის: საკუთარი შემოსავლები | 2017 წლის გეგმა სულ | 2017 მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | 2017 მათ შორის: საკუთარი შემოსავლები |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **შემოსავლები** | **9,507.7** | **12,469.-8** | **3,559.6** | **8,910.2** | **6,633.8** | **0.0** | **6,633.8** |
| გადასახადები | 2,830.5 | 6,137.9 | 0.0 | 6,137.9 | 6,000.0 | 0.0 | 6,000.0 |
| გრანტები | 6,086.4 | 5,907.3 | 3,559.6 | 2,347.7 | 220.0 | 0.0 | 220.0 |
| სხვა შემოსავლები | 590.8 | 424.6 | 0.0 | 424.6 | 413.8 | 0.0 | 413.8 |
| **ხარჯები** | **6,759.1** | **7,863.1** | **645.8** | **7,217.3** | **6,502.9** | **0.0** | **6,502.9** |
| შრომის ანაზღაურება | 1,561.4 | 1,993.4 | 0.0 | 1,993.4 | 1,832.8 | 0.0 | 1,832.8 |
| საქონელი და მომსახურება | 1,501.1 | 1,815.4 | 645.8 | 1,169.6 | 1,007.6 | 0.0 | 1,007.6 |
| ძირითადი კაპიტალის მომსახურება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| პროცენტი | 84.5 | 70.4 | 0.0 | 70.4 | 54.3 | 0.0 | 54.3 |
| სუბსიდიები | 2,771.9 | 2,997.8 | 0.0 | 2,997.8 | 2,808.3 | 0.0 | 2,808.3 |
| გრანტები | 395.5 | 373.9 | 0.0 | 373.9 | 336.0 | 0.0 | 336.0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 303.7 | 455.9 | 0.0 | 455.9 | 446.8 | 0.0 | 446.8 |
| ხარჯები | 6,759.1 | 7,863.1 | 645.8 | 7,217.3 | 6,502.9 | 0.0 | 6,502.9 |
| **საოპერაციო სალდო** | **2,748.6** | **4,606.7** | **2,913.8** | **1,692.9** | **130.9** | **0.0** | **130.9** |
| **არაფინანსური აქტივების ცვლილება** | **1,962.1** | **5,177.4** | **3,362.1** | **1,815.3** | **-81.0** | **0.0** | **-81.0** |
| ზრდა | 2,101.1 | 5,599.3 | 3,362.1 | 2,237.2 | 155.3 | 0.0 | 155.3 |
| კლება | 139.0 | 421.9 | 0.0 | 421.9 | 236.3 | 0.0 | 236.3 |
| **მთლიანი სალდო** | **786.5** | **-570.7** | **-448.3** | **-122.4** | **211.9** | **0.0** | **211.9** |
| **ფინანსური აქტივების ცვლილება** | **669.9** | **-771.7** | **-499.7** | **-272.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** |
| **ზრდა** | **669.9** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** |
| ვალუტა და დეპოზიტები | 669.9 | 0.0 | | | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| სესხები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| აქციები და სხვა კაპიტალი | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| კლება | 0.0 | 771.7 | 499.7 | 272.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 0.0 | 771.7 | 499.7 | 272.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| სესხები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ფინანსური აქტივების ცვლილება | 669.9 | -771.7 | -499.7 | -272.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ზრდა | 669.9 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **ვალუტა და დეპოზიტები** | **669.9** | **0.0** | | | **0.0** | **0.0** | **0.0** |
| **ფასიანი ქაღალდები,გარდა აქციებისა** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** |
| სესხები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| აქციები და სხვა კაპიტალი | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **კლება** | **0.0** | **771.7** | **499.7** | **272.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** |
| **ვალუტა და დეპოზიტები** | **0.0** | **771.7** | **499.7** | **272.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** |
| **ფასიანი ქაღალდები,გარდა აქციებისა** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** |
| სესხები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| აქციები და სხვა კაპიტალი | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **ვალდებულებების ცვლილება** | **-116.6** | **-201.0** | **-51.4** | **-149.6** | **-211.9** | **0.0** | **-211.9** |
| **ზრდა** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** |
| საგარეო | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| საშინაო | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **კლება** | **116.6** | **201.0** | **51.4** | **149.6** | **211.9** | **0.0** | **211.9** |
| საგარეო | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| საშინაო | 116.6 | 201.0 | 51.4 | 149.6 | 211.9 | 0.0 | 211.9 |
| | | | | | | | |
| **ბალანსი** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** |

**მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

| დასახელება | კოდი | 2015 წლის ფაქტი | 2016 წლის გეგმა სულ | 2016 მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | 2016 მათ შორის: საკუთარი შემოსავლები | 2017 წლის გეგმა სულ | 2017 მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | 2017 მათ შორის: საკუთარი შემოსავლები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **შემოსულობები** | | **9646.7** | **12891-.7** | **3559.6** | **9332.1** | **6870.1** | **0.0** | **6870.1** |
| შემოსავლები | 1 | 9507.7 | 12469.-8 | 3559.6 | 8910.2 | 6633.8 | | 6633.8 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 31 | 139.0 | 421.9 | 0.0 | 421.9 | 236.3 | 0.0 | 236.3 |
| ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გაკლებით) | 32 | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **გადასახდელები** | | **8976.8** | **13663-.4** | **4059.3** | **9604.1** | **6870.1** | **0.0** | **6870.1** |
| ხარჯები | 0.0 | 6759.1 | 7863.1 | 645.8 | 7217.3 | 6502.9 | | 6502.9 |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | | 2101.1 | 5599.3 | 3362.1 | 2237.2 | 155.3 | | 155.3 |
| ვალდებულებების კლება | | 116.6 | 201.0 | 51.4 | 149.6 | 211.9 | | 211.9 |
| ნაშთის ცვლილება | | 669.90 | -771.70 | -499.70 | -272.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 |

**მუხლი 3. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 6633.8 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2015 წლის ფაქტი | 2016 წლის გეგმა სულ | 2016 მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | 2016 მათ შორის: საკუთარი შემოსავლები | 2017 წლის გეგმა სულ | 2017 მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | 2017 მათ შორის: საკუთარი შემოსავლები |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **შემოსავლები** | **9,097.9** | **12,469-.8** | **3,559.6** | **8,910.2** | **6,633.8** | **0.0** | **6,633.8** |
| საშემოსავლო გადასახადი | | 1,912.6 | 0.0 | 1,912.6 | 2,000.0 | 0.0 | 2,000.0 |
| ქონების გადასახადი | 4,280.2 | 4,225.3 | 0.0 | 4,225.3 | 4,000.0 | 0.0 | 4,000.0 |
| გრანტები | 4,245.6 | 5,907.3 | 3,559.6 | 2,347.7 | 220.0 | 0.0 | 220.0 |
| სხვა შემოსავლები | 572.1 | 424.6 | | 424.6 | 413.8 | | 413.8 |

>>>>>>>>>>>>>>> 5

# ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი პროექტი

4 <<<<<<<<<<<<<<<<<<

**მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 6000.0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

| დასახელება | კოდი | 2015 წლის ფაქტი | 2016 წლის გეგმა: სულ | 2016: მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | 2016: მათ შორის საკუთარი შემოსავლები | 2017 წლის გეგმა: სულ | 2017: მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | 2017: მათ შორის საკუთარი შემოსავლები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **გადასახადები** | **11** | **2,830.5** | **6,137.-9** | **0.0** | **6,137.9** | **6,000.0** | **0.0** | **6,000.0** |
| საშემოსავლო გადასახადი | | | | | 1,912.6 | | | 2,000.0 |
| ქონების გადასახადი | 113 | 2,830.5 | 4,225.3 | 0.0 | 4,225.3 | 4,000.0 | 0.0 | 4,000.0 |
| საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 113111 | 443.9 | 2,853.7 | | 2,853.7 | 2,168.0 | | 2,168.0 |
| **უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)** | **113112** | **0.0** | **0.0** | | | **0.0** | | |
| ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 113113 | 1.3 | 1.0 | 0.0 | 1.0 | 2.0 | 0.0 | 2.0 |
| ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე | 1131131 | 1.0 | 1.0 | | 1.0 | 2.0 | | 2.0 |
| არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქოენბაზე | 1131132 | 0.3 | 0.0 | | | 0.0 | | |
| **სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე** | **113114** | **260.5** | **100.6** | **0.0** | **100.6** | **220.0** | **0.0** | **220.0** |
| ფიზიკურ პირებიდან | 1131141 | 111.6 | 30.0 | | 30.0 | 90.0 | | 90.0 |
| იურიდიულ პირებიდან | 1131142 | 148.9 | 70.6 | | 70.6 | 130.0 | | 130.0 |
| **არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე** | **113115** | **2,124.8** | **1,270-.0** | **0.0** | **1,270.0** | **1,610.0** | **0.0** | **1,610.0** |
| ფიზიკურ პირებიდან | 1131151 | 25.9 | 5.0 | | 5.0 | 10.0 | | 10.0 |
| იურიდიულ პირებიდან | 1131152 | 2,098.9 | 1,265.0 | | 1,265.0 | 1,600.0 | | 1,600.0 |
| **სხვა გადასახადები ქონებაზე** | **1136** | **0.0** | **0.0** | | | **0.0** | | |
| **სხვა გადასახადები** | **116** | **0.0** | **0.0** | | | **0.0** | | |

**მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 220.0 ათასი ლარით, თანდართული რედაქციით:

| დასახელება | კოდი | 2015 წლის ფაქტი | 2016 წლის გეგმა: სულ | 2016: მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან | 2016: მათ შორის საკუთარი | 2017 წლის გეგმა: სულ | 2017: მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან | 2017: მათ შორის საკუთარი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გრანტები | 13 | 6,086.-4 | 5,907-.3 | 3,559.6 | 2,347.7 | 220.0 | 0.0 | 220.0 |
| **საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები** | **131** | **0.0** | **0.0** | | | **0.0** | | |
| **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი** | **133** | **0.0** | **0.0** | | | **0.0** | | |
| **სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი** | **133** | **6,086.-4** | **5,907-.3** | **3,559.6** | **2,347.7** | **220.0** | **0.0** | **220.0** |
| **ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები** | **1311** | **2,760.1** | **2,347.-7** | **0.0** | **2,347.7** | **220.0** | **0.0** | **220.0** |
| გათანაბრებითი ტრანსფერი | | 1,551.8 | 2,127.7 | | 2,127.7 | 0.0 | | |
| მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად | | 208.3 | 220.0 | | 220.0 | 220.0 | | 220.0 |
| ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად | | 1,000.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| **ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები** | **1312** | **3,326.3** | **3,559.-6** | **3,559.6** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** |
| სულ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი | | 2,498.2 | 2,711.3 | 2,711.3 | | 0.0 | | |
| სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | | 828.1 | 848.3 | 848.3 | | 0.0 | | |
| პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი | | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| მთავრობის სარეზერვო ფონდი | | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ფონდი | | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |

**მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 413.8 ათასი ლარით, თანდართული რედაქციით:

| დასახელება | კოდი | 2015 წლის ფაქტი | 2016 წლის გეგმა: სულ | 2016: მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | 2016: მათ შორის საკუთარი შემოსავლები | 2017 წლის გეგმა: სულ | 2017: მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | 2017: მათ შორის საკუთარი შემოსავლები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **სხვა შემოსავლები** | **14** | **590.8** | **424.6** | **0.0** | **424.6** | **413.8** | **0.0** | **413.80** |
| **შემოსავლები საკუთრებიდან** | **141** | **189.4** | **118.8** | **0.0** | **118.8** | **190.0** | **0.0** | **190.0** |
| **პროცენტები** | **1411** | **0.6** | **0.0** | | | **0.0** | | |
| **დივიდენდები** | **1412** | **0.0** | **0.0** | | | **0.0** | | |
| **რენტა** | **1415** | **188.8** | **118.8** | **0.0** | **118.8** | **190.0** | **0.0** | **190.0** |
| მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის | 14151 | 185.1 | 118.8 | | 118.8 | 160.0 | | 160.0 |
| შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან | 14154 | 3.7 | 0.0 | | | 30.0 | | 30.0 |
| სხვა არაკლასიფიცირებული რენტა | 14159 | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| **საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია** | **142** | **154.2** | **85.8** | **0.0** | **85.8** | **73.8** | **0.0** | **73.8** |
| **ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები** | **1422** | **81.1** | **49.0** | **0.0** | **49.0** | **37.0** | **0.0** | **37.0** |
| სანებართვო მოსაკრებელი | 14223 | 40.0 | 6.0 | | 6.0 | 6.0 | | 6.0 |
| სახელმწიფო ბაჟი | 14227 | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი | 14229 | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი | 142212 | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი | 142213 | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის | 142214 | 41.1 | 43.0 | | 43.0 | 31.0 | | 31.0 |
| სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი | 142299 | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| **არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება** | **1423** | **73.1** | **36.8** | **0.0** | **36.8** | **36.8** | **0.0** | **36.8** |
| შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან | 14231 | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| შემოსავლები მომსახურების გაწევიდან | 14232 | 73.1 | 36.8 | | 36.8 | 36.8 | | 36.8 |
| **ჯარიმები, სანქციები და საურავები** | **143** | **247.2** | **220.0** | | **220.0** | **150.0** | | **150.0** |
| **ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე** | **144** | **0.0** | **0.0** | | | **0.0** | | |
| **შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები** | **145** | **0.0** | **0.0** | | | **0.0** | | |

**მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 6502.9 ათასი ლარით, თანდართული რედაქციით:

